| | |
|---|---|
| **შეთანხმებულია:**<br>სსიპ გრიგოლ წულუკიძის<br>სამთო ინსტიტუტის დირექტორი<br>ნიკოლოზ ჩიხრაძე | **განხილული და დამტკიცებულია:**<br>სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო<br>ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ<br>სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი №14<br>სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე<br>ლევან ჯაფარიძე |
| 03 აგვისტო 2023 წ. | 03 აგვისტო 2023 წ. |

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის დებულება**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის (შემდგომში – ინსტიტუტი) მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, სტრუქტურას, ორგანიზებას, ძირითად ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს.

**მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

1. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ინსტიტუტის წესდებით, ინსტიტუტის დირექტორის (შემდგომში – დირექტორი) სამართლებრივი აქტებით და დებულებით.
2. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის დირექტორის, დირექტორის კურატორი მოადგილის და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

**მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა**

ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საბადოთა დამუშავების და სამთო გეოტექნიკის ლაბორატორია;

ბ) ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორია;
გ) საბაგირო სისტემების ლაბორატორია.

**მუხლი 4 . ცენტრის ხელმძღვანელობა**

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

2. ცენტრის უფროსი:

ა) ახორციელებს ცენტრის ხელმძღვანელობას, წარმართავს სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს ცენტრის ბიუჯეტის პროექტის, სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის და პერსპექტიული სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავებას და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის წარდგენას შესათანხმებლად;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ცენტრზე განპიროვნებულ სამუშაოებს;

დ) უზრუნველყოფს სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას;

ე) დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით მონაწილეობს სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

ვ) ახორციელებს სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით პროექტების წარდგენას საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში;

ზ) უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას;

თ) უზრუნველყოფს ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;

ი) უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო სემინარების ორგანიზებას და მონაწილეობის მიღებას;

კ) აქტიურ მონაწილეობას იღებს ცენტრის სამეცნიერო საქმიანობაში;

ლ) ახორციელებს ცენტრის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, დავალებების გაფორმებას და მათი მხრიდან შესრულების კონტროლს;

მ) სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

ნ) ითანხმებს ცენტრის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს;

ო) დირექტორს წარუდგენს ცენტრის ბიუჯეტის პროექტს;

პ) ახორციელებს საიდუმლო დოკუმენტებზე და მასალებზე მუშაობის კონტროლს;

ჟ) უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების შემუშავების ორგანიზებას და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენას;

რ) უზრუნველყოფს დირექციის წინაშე შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენას;

ს) მონაწილეობს საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში;

ტ) ახორციელებს კონტროლს ცენტრის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;

უ) ახორციელებს კონტროლს ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;

ფ) წარადგენს წინადადებებს ცენტრის თანამშრომელთა წახალისების ან სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის თაობაზე;

ქ) ამზადებს წინადადებს სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით;

ღ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში;

ყ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილოებს სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში;

შ) კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს დირექციის სხვა დავალებების და მითითებებს.

3. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის და კურატორი დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წინაშე.

4. ცენტრის უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ცენტრის უფროსის მოვალეობას დირექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს მის მიერ განსაზღვრული თანამშრომელი.

**მუხლი 5 . ლაბორატორიის ხელმძღვანელობა**

1. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

2. ლაბორატორიის უფროსი:

ა) ახორციელებს ლაბორატორიის საერთო ხელმძღვანელობას და საქმიანობის კონტროლს, წარმართავს სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას;

ბ) ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი სამუშაოების პერსპექტიული და წლიური თემატური გეგმების და ბიუჯეტის პროექტის

შემუშავების ორგანიზებას და ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსათვის განსახილველად წარდგენას;

გ) სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს;

დ) ხელმძღვანელობს ლაბორატორიის კვლევის პროგრამით, სპეციალური დავალებებითა და ინსტიტუტის სახელშეკრულებო ვალდებულებებით ლაბორატორიაზე გაპიროვნებულ სამუშაოებს;

ე) უზრუნველყოფს სტატიების, ნაშრომების მომზადება და დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით საქართველოს ან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებას;

ვ) ახორციელებს დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თანხმობით სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობას;

ზ) უზრუნველყოფს პროექტების მომზადებას და დასაფინანსებლად წარდგენას საქართველოს ან საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით;

თ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას;

ი) ახორციელებს ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვას და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას;

კ) ხელმძღვანელობს ლაბორატორიის სემინარული მუშაობას;

კ.ა) სემინარული მუშაობა ითვალისწინებ ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებებში არსებული აქტუალური პრობლემების განხილვას, მათი გადაჭრისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შესრულებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო სამუშაოებს ანალიზს, მათი სამეცნიერო დონის შესწავლას;

კ.ბ) სემინარებზე განიხილება ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ ინდივიდუალურად და/ან ერთობლივად მომზადებული საკითხები, წინადადებები და პროექტები;

კ.გ) სემინარული მუშაობის ასახვა ხორციელდება ოქმის გაფორმებით, რომელსაც ასრულებს ლაბორატოორიის უფროსის მიერ გამოყოფილი თანამშრომელი და ინახება ლაბორატორიაში;

ლ) ახორციელებს ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, დავალებების გაფორმებას და მათი მხრიდან შესრულების კონტროლს;

მ) ითანხმებს ლაბორატორიის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებს;

ნ) ცენტრის უფროსთან შეთანხმებით ახორციელებს ლაბორატორიის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და წარდგენას დირექტორისთვის;

ო) ახორციელებს საიდუმლო მასალებზე მუშაობის მსვლელობის კონტროლს;

პ) ცენტრის უფროსთან შეთანხმებით ახორციელებს ლაბორატორიის შტატების, სამუშაოს ორგანიზების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი წახალისების ან/და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ წინადადებების წარდგენას დირექციის წინაშე;

ჟ) მონაწილეობას იღებს ლაბორატორიის საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის, თანამშრომელთა ატესტაციისა და სტაჟირების პროცესებში;

რ) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შინაგანაწესის დაცვაზე;

ს) ახორციელებს კონტროლს ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებაზე;

ტ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მასალების და საქონლის შესაძენად განაცხადების მომზადებისა და წარდგენის ორგანიზებას დადგენილი წესის მიხედვით;

უ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელი პირის შერჩევას, კონტროლს აღნიშნული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე და დაცვაზე;

ფ) ახორციელებს ორგანიზებას და პასუხისმგებლობას სხვა ორგანიზაციებთან ლაბორატორიის პროფილით თანამშრომლობისათვის აუცილებელი მასალების, სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მომზადებაზე;

ქ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამეცნიერო სამუშაოებში;

ღ) კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში;

ყ) აკომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დირექციის და ცენტრის უფროსის სხვა დავალებების და მითითებების შესრულებას.

3. ლაბორატორიის უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის, კურატორი დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ცენტრის უფროსის წინაშე.

4. ლაბორატორიის უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ლაბორატორიის უფროსის მოვალეობას დირექტორის ბრძანების საფუძველზე ასრულებს მის მიერ განსაზღვრული თანამშრომელი.

**მუხლი 6. ცენტრის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები**

1. კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის საერთო ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შესრულება ცენტრის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად.
ბ) მისი დაქვემდებარების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დაგეგმვა, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა და კონტროლი;
გ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება;
დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილებებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შესაბამისი დავალებების განხორციელება.

**მუხლი 7. ლაბორატორიების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები**

1. კომპეტენციის ფარგლებში საბადოთა დამუშავების და სამთო გეოტექნიკის ლაბორატორიის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
ა) დარგის მიმართულების ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება;
ბ) სამთო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური, კომუნალური, სპეციალური და სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და რეკონსტრუქციის მეთოდების სრულყოფა, გვირაბების საიმედო და ეკონომიური გაყვანის ტექნოლოგიების შემუშავება;
გ) გვირაბების, ბუნებრივი მიწისქვეშა სივრცეების და სხვა მიწისქვეშა ნაგებობების ირგვლივ ქანების მასივის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზი-შესწავლა და მდგრადობის შეფასების მეთოდების სრულყოფა;
დ) ხელოვნური და ბუნებრივი მიწისქვეშა ნაგებობების სტატიკურ, რეოლოგიურ და დინამიკურ დატვირთვებზე ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების მეთოდების, მათი კომპიუტერული პროგრამების და ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება, მათი გამოყენება კონკრეტულ პროექტებში;
ე) მყარის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა რაციონალური ათვისების მეთოდების კვლევა და სრულყოფა;
ვ) საბადოთა დამუშავების (ღია და მიწისქვეშა) პროექტების მომზადება;
ზ) ნახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციის მეთოდით მოპოვების კვლევა-სრულყოფა;
თ) სამთო საწარმოთა ეკონომიკის პრობლემების კვლევა და ანალიზი;
ი) სამთო საწარმოთა საინვესტიციო პროექტების მომზადება;
კ) საბადოებზე (კარიერის) რეკულტივაციის პროექტების მომზადება;
ლ) ბუნებრივი (მეწყერი, ქვათაცვენა, სხვა) და ხელოვნური (კარიერის ფერდები, საავტომობიოლო და სამშენებლო მოედნები) ფერდების სამთო გეოტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, რისკ-ფაქტორების გამოვლენა და მათი უსაფრთხო გადაწყვეტილების ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროექტების დამუშავება;
მ) თანამედროვე სამთო მოპოვებითი მრეწველობის, გეოტექნიკის და სამეცნიერო კომპიუტერული პროგრამების ათვისება, გამოყენება და გაუმჯობესება;

ნ) სამთო მოპოვებით მრეწველობის ნარჩენების კვლევა და მათი, როგორც თანმდევი წიაღისეულის დამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება;
ო) საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით სამთო საწარმოებში (შახტი, მაღარო  კარიერი) შრომის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხების დამუშავება და რეკომენდაციების შემუშავება დარგის შესაბამისი უწყებებისთვის და სამთო მოპოვებითი კომპანიებისთვის.
პ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა.
ჟ) ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიული გეგმების და მიმდინარე სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება;
რ) ლაბორატორიაში დამუშავებული თემის ანგარიშის მომზადება და დაცვა;
ს) სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მომზადება;
ტ) სამეცნიერო მიღწევების გამოქვეყნება დადგენილი წესით (სტატიები, ნაშრომები, გამოგონებები);
უ) ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა, ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
ფ) დაარქივებისთვის გადასაცემი საქმეების ფორმირება და ჩაბარება;
ტ) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
ქ) ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტების მოძიება და კვალიფიციური კადრების მომზადება;
ღ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება;
ყ) ლაბორატორია ანგარიშვალდებულია დირექციის, ცენტრის უფროსის და სამეცნიერო საბჭოს წინაშე.
2. კომპეტენციის ფარგლებში ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:
ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად:
ბ) მადნების და მათი გამდიდრების პროდუქტების ქიმიური ანალიზი;
გ) მავნე მინარევების განსაზღვრა ბეტონების ინერტულ შემავსებლებში;
დ) გრუნტის და გრუნტის წყლების აგრესიულობის განსაზღვრა;
ე) წყლების და ნიადაგის სინჯების აღება და ანალიზი (მიკრობიოლოგიურის გარდა);
ვ) მეტალური და არამეტალური სასარგებლო წიაღისეულის ტექნოლოგიური ტესტირება გამდიდრების მექანიკური (გრავიტაცია, მაგნიტური და ელექტროსტატიკური სეპარაცია, ფლოტაცია) და ქიმიური (ჰიდრომეტალურგია) მეთოდებით, საბადოს ეკონომიკური პოტენციალის შეფასების მიზნით;

ზ) სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების არსებული ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;
თ) საბადოთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი პრობლემები (ეკოლოგიური აუდიტი, მონიტორინგი, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება, ჩამდინარე წყლების გაწმენდის მეთოდების დამუშავება);
ი) პროფილური სამთავრობო უწყებების კონსულტაცია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების და მინერალური ნედლეულის გამოყენების სფეროში;
კ) სასარგებლო წიაღისეულის (მადნების) ტექნოლოგიური ტესტირება;
ლ) მომსახურება გარემოს დაცვის სფეროში;
მ) წყლის ბიოანალიზების მეთოდური მართვის განხორციელება;
ნ) საერთაშორისო მეთოდებით ქიმიური ანალიზების დანერგვის უზრუნველყოფა;
ო) სასმელი, ზედაპირული და ჩამდინარე წყლის და სხვა მატრიცების ქრომატოგრაფზე, სპექტრომეტრზე და სხვა აღჭურვილობაზე განსაზღვრის, შემდგომი მონაცემების დამუშავების და ანგარიშგების წარმოების უზრუნველყოფა;
პ) ხარისხის კონტროლის სტანდარტების შესაბამისად ხარისხის პროცედურების აღწერის უზრუნველყოფა;
ჟ) ხელსაწყოებით და მანქანა-დანადგარებით აღჭურვა ანალიზური კვლევების სრულად ჩატარებისთვის;
რ) კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში საბაზო დაფინანსებით მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობის მიღება;
ს) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა.
ტ) ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიული გეგმების და მიმდინარე სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება;
უ) ლაბორატორიაში დამუშავებული თემის ანგარიშის მომზადება და დაცვა;
ფ) სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მომზადება;
ქ) სამეცნიერო მიღწევების გამოქვეყნება დადგენილი წესით (სტატიები, ნაშრომები, გამოგონებები);
ღ) ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა, ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
ყ) დაარქივებისთვის გადასაცემი საქმეების ფორმირება და ჩაბარება;
შ) ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მომზადება დამოუკიდებელი მუშაობისათვის, დარგის პრობლემების ხედვის, მათი გადაწყვეტის გზების დასახვის და სრულფასოვანი ექსპერიმენტული კვლევების, სამუშაოს აღწერა-გაანალიზების და გუნდური მუშაობის ჩვევების გამომუშვების მიზნით;

ჩ) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;

ც) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება;

ძ) ლაბორატორია ანგარიშვალდებულია დირექციის, ცენტრის უფროსის და სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

3. კომპეტენციის ფარგლებში საბაგირო სისტემების ლაბორატორიის ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია:

ა) ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვა და შესრულება ლაბორატორიის სამეცნიერო მიმართულებების და დებულების შესაბამისად:

ბ) სპეციალური დანიშნულების საბაგირო გზების და სისტემების გაანგარიშება და დაპროექტება თანამედროვე პროგრამული პაკეტების გამოყენებით;

გ) საბაგირო გზების მართვის და ენერგომომარაგების თანამედროვე სისტემების კვლევა.

დ) საბაგირო გზების ფოლადის ბაგირების მაგნიტური დეფექტოსკოპის დამუშავება;

ე) საბაგირო გზების და ბაგირთა სისტემების ინსტრუმენტულ-დიაგნოსტიკური კონტროლისა და ვიზუალური შემოწმების მეთოდიკის დამუშავება;

ვ) მსუბუქი კონსტრუქციის საცალფეხო დაკიდებული საბაგირო ხიდების კონსტრუქციის კვლევა და დამუშავება;

ზ) მცირე ტვირთამწეობის ელექტრო საბაგირო გზის დამუშავება და კვლევა;

თ) დისკრეტული მოდელის საფუძველზე ბაგირღეროვანი ლითონკონსტრუქციების გაანგარიშების და ექსპერტიზის მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება;

ი) საბაგირო გზების და ბაგირთა სისტემების რისკების (უსაფრთხოების) ანალიზი და ექსპერტიზა;

კ) თანამედროვე საინჟინრო-საპროექტო პაკეტების ათვისება.

ლ) დამატებითი შემოსავლების მოზიდვის მიზნით, სახელშეკრულებო სამუშაოებში მონაწილეობა.

მ) ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიული გეგმების და მიმდინარე სამუშაო პროგრამის (გეგმა-გრაფიკი) შემუშავება;

ნ) ლაბორატორიაში დამუშავებული თემის ანგარიშის მომზადება და დაცვა;

ო) სამეცნიერო-საგრანტო პროექტების მომზადება;

პ) სამეცნიერო მიღწევების გამოქვეყნება დადგენილი წესით (სტატიები, ნაშრომები, გამოგონებები);

ჟ) ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება და გადაცემა, ვებ-გვერდზე განსათავსებლად;

რ) დაარქივებისთვის გადასაცემი საქმეების ფორმირება და ჩაბარება;

ს) ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა და მომზადება დამოუკიდებელი მუშაობისათვის, დარგის პრობლემების ხედვის, მათი გადაწყვეტის გზების დასახვის და სრულფასოვანი ექსპერიმენტული კვლევების, სამუშაოს აღწერა-გაანალიზების და გუნდური მუშაობის ჩვევების გამომუშვების მიზნით;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;

უ) კომპეტენციის ფარგლებში სხვა დამატებითი ფუნქციების განხორციელება;

ფ) ლაბორატორია ანგარიშვალდებულია დირექციის, ცენტრის უფროსის და სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

**მუხლი 8. ცენტრის/ლაბორატორიის შემადგენლობა და ფუნქცია-მოვალეობები**

1. ცენტრის/ლაბორატორიის შემადგენლობა განსაზღვრება ინსტიტუტის საშტატო განრიგის შესაბამისად;
2. ცენტრის/ლაბორატორიის თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, ინსტიტუტის თანამდებობების სამუშაოთა აღწერით და ცენტრის/ლაბორატორიის უფროსის მიერ მომზადებული სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად;
3. ცენტრის/ლაბორატორიის თანამშრომლები უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას და ინსტიტუტის შინაგანაწესით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას.

**მუხლი 9. ცენტრის რეორგანიზაცია**

ცენტრის რეორგანიზაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 10. დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

დებულების ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადება, მასში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება ინსტიტუტის წესდებით დადგენილი წესით.